# სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,საშემსრულებლო ხელოვნება“

## მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

**სპეციალობა - ,,აკადემიური გუნდის დირიჟორობა“**

შეფასება ხდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 81-100.
მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება 2 ტურად.

ერთჯერადი ცვლილება 2022-2023 სასწავლო წლის მისაღებ მოთხოვნებში

**პირველი ტური** – საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ორი როიალის თანხლებით;

გამოცდაზე უნდა შესრულდეს 3 ნაწარმოები (სირთულე III – IV კურსი):
1. ორი a cappella ნაწარმოები;
2. ერთი ნაწარმოები თანხლებით - საოპერო სცენა ან საგუნდო პოლიფონია (ნაწილი კანტატიდან, ორატორიიდან ან მესიდან) კონკურსანტის არჩევით

**აბიტურიენტს მოეთხოვება:**

1. საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ზეპირად;
2. გასაუბრება საგამოცდო პროგრამის ირგვლივ;
3. a cappella საგუნდო ნაწარმოებების პარტიტურების დაკვრა ფორტეპიანოზე – ნოტებით;
4. a cappella საგუნდო ნაწარმოებების საგუნდო პარტიების მღერა – ნოტებით.

*შენიშვნა: პროგრამაში შესაძლებელია გამეორდეს ერთი ნაწარმოები ბაკალავრიატში განვლილი კურსიდან.*

**მეორე ტური** – გუნდთან მუშაობა უცხო ნაწარმოებზე - 30 წუთი.
აბიტურიენტს გამოცდამდე ერთი საათით ადრე ეძლევა უცხო ნაწარმოები a cappella შერეული გუნდისათვის შესასწავლად.